ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №52

2014 წლის 19 დეკემბერი

ქ. რუსთავი

,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №7 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 12/08/2014, 010250020.35.160.016218) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით;

ბ. დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ა) საკრებულოს წევრები, რომელებიც არ არიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები, ყოველი თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა, საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგენენ ინფორმაციას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის კონკრეტული დავალების (დავალებების) შესრულებისთვის გაწეული დანახარჯის ოდენობა, წინა თვეში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის დღიდან მიმდინარე თვეში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის დღემდე;“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მაღლაკელიძე**

დანართი

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების ოდენობა

№	თანამდებობის დასახელება	ანაზღაურების ოდენობა (ლარი)		ანაზღაურების ზღვრული ოდენობა (ლარი)
		საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღებისთვის	ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის	საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის
1	საკრებულოს წევრი	200	150	150